

1. ბუსტ ღილაკით“ სარგებლობის წესები და პირობები

- 1.1. **დამკვეთი** უფლებამოსილია ბუსტ ღილაკის (შემდგომში - **ბუსტ ღილაკი**) გააქტიურებით წინამდებარე მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად:
 - 1.1.1. გაიზარდოს **ინტერნეტ მომსახურების** სიჩქარე და ისარგებლოს 100 მბ/წმ სიჩქარის მქონე **ინტერნეტ მომსახურებით** გააქტიურებიდან 24 საათის განმავლობაში ან/და
 - 1.1.2. გააქტიურებიდან 24 საათის განმავლობაში ისარგებლოს **IPTV მომსახურების** პაკეტით - „სრული“.
- 1.2. **ბუსტ ღილაკით** სარგებლობის საფასური თითოეულ **მომსახურებაზე** შეადგენს 3 (სამი) ლარს დღე-ს ჩათვლით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად იმ შემთხვევაში თუ **დამკვეთს** სურს **ბუსტ ღილაკის** გააქტიურება, როგორც **ინტერნეტ მომსახურებაზე** ისევე **IPTV მომსახურებაზე**, მან **ბუსტ ღილაკით** სარგებლობის საფასური 3 (სამი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადოს თითოეულ გააქტიურებაზე ცალ-ცალკე.
- 1.3. **ბუსტ ღილაკის** გააქტიურება წარმოებს ამ პირობებით განსაზღვრული წესების შესაბამისად მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) საათის განმავლობაში.
- 1.4. **ბუსტ ღილაკის** გააქტიურების შემთხვევაში 100 მბ/წმ სიჩქარის მქონე **ინტერნეტ მომსახურების** მიწოდება ან/და **IPTV მომსახურების** პაკეტი - „სრულის“ მიწოდება (გამომდინარე **დამკვეთის** მოთხოვნიდან) წარმოებს გააქტიურებიდან 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში.
- 1.5. **ბუსტ ღილაკის** დეაქტივაცია ხორციელდება ავტომატურად, **ბუსტ ღილაკის** მოქმედების 24 (ოცდაოთხი) საათიანი ვადის ამოწურვისთანავე. აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, **ბუსტ ღილაკის** დეაქტივაცია და გაუქმება არ ხდება. **ბუსტ ღილაკით** სარგებლობის პერიოდში **მომსახურების** საფასურის ანგარიშსწორების პირობები მოქმედებს უცვლელი სახით.
- 1.6. **ბუსტ ღილაკის** გააქტიურების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ მიმდინარე (მოთხოვნის) თარიღზე.
- 1.7. **ბუსტ ღილაკით** სარგებლობისათვის, სავალდებულოა **დამკვეთის** შესაბამის სააბონენტო ანგარიშზე დადებითი ბალანსის ქონა მინიმუმ მომდევნო დღის სააბონენტოს ოდენობას დამატებული **ბუსტ ღილაკის** გააქტიურების საფასური, წინააღმდეგ შემთხვევაში **დამკვეთს ბუსტ ღილაკი** არ გაუაქტიურდება.
- 1.8. **ბუსტ ღილაკის** გასაუქტირებლად:
 - ✓ **შემსრულებლის ცხელ ხაზზე ხელშეკრულების** 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად დარეკვით; ან
 - ✓ **შემსრულებლის სერვის ცენტრში** წერილობითი განცხადების წარდგენით ან
 - ✓ **დისტანციური არხ(ებ)ის** შესაბამისი ფუნქციონალის გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- 1.9. **დამკვეთს** შეუძლია **ბუსტ ღილაკის** გააქტიურება თუ იგი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილ ყველა მოთხოვნას:
 - ✓ იგი წარმოადგენს ფიზიკურ პირს;
 - ✓ იგი სარგებლობს საცალო მომსახურების აბონენტებისათვის შეთავაზებული **ინტერნეტ მომსახურების** ან/და **IPTV მომსახურების** პაკეტით (არაინდივიდუალური (სტანდარტული) პირობებით);
 - ✓ **ინტერნეტ მომსახურება/IPTV მომსახურება** მას მიეწოდება ოპტიკური-ბოჭკოვანი ტექნოლოგიით;
 - ✓ მას არ აქვს შეზღუდული/შეჩერებული/შეწყვეტილი **ინტერნეტ/IPTV მომსახურების** მიწოდება;
 - ✓ ის არ ექცევა 1.10. პუნქტით განსაზღვრულ გამონაკლის შემთხვევაში.

- 1.10. **ბუსთ ღილაკის** გააქტიურება შესაბამის **მომსახურებაზე** შეუძლებელია იმ შემთხვევაში, თუ **დამკვეთი** სასურველი აქტივაციის თარიღზე უკვე სარგებლობს 100 მბ/წმ სიჩქარის მქონე **ინტერნეტ მომსახურების** პაკეტით ან/და **IPTV მომსახურების** პაკეტით - „სრულით“.
- 1.11. იმ შემთხვევაში თუ **ბუსთ ღილაკის** გააქტიურების მსურველი **დამკვეთი** გააქტიურების მომენტში სარგებლობს, **ინტერნეტ** და **IPTV მომსახურებით**, **დამკვეთმა** შესაძლოა **ბუსთ ღილაკის ინტერნეტ მომსახურებაზე** გააქტიურებით ვერ მიიღოს შეთავაზებული 100 მბ/წმ სიჩქარის მქონე **ინტერნეტ მომსახურება**, **IPTV მომსახურებაში** შემავალი კონკრეტული ტელეარხ(ებ)ის მიერ გარკვეული მოცულობის მქონე ტრაფიკის მოხმარების აუცილებლობის გამო. ასეთ შემთხვევებში, **შემსრულებელი** იხმარს საუკეთესო ძალისხმევას რათა ფაქტიურად მიწოდებული **ინტერნეტი მომსახურების** სიჩქარე საშუალოდ არ იყოს 80 მბ/წმ-ზე ნაკლები.
- 1.12. **ბუსთ ღილაკის** გააქტიურებით შეთავაზებული 100 მბ/წმ სიჩქარის მქონე **ინტერნეტ მომსახურებით** სარგებლობა პირდაპირ და მკაცრად დამოკიდებულია **დამკვეთის** მიერ გამოყენებად ტერმინალურ მოწყობილობა(ებ)ზე, მის/მათ ტექნიკურ მარკენებლებზე, შესაბამისად **შემსრულებელი** იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ისეთ შემთხვევებზე, როდესაც **ბუსთ ღილაკის** გააქტიურებით მიღებული **ინტერნეტ მომსახურების** სიჩქარე ნაკლებია 100 მბ/წმ-ზე შესაბამისი ტერმინალური მოწყობილობის პარამეტრებისა თუ შესაძლებლობების გამო.
- 1.13. თუ **დამკვეთი ინტერნეტ მომსახურებით** სარგებლობს უსადენო შეერთებით (Wi-Fi), **ბუსთ ღილაკის** გააქტიურებით მიწოდებული **ინტერნეტ მომსახურების** სიჩქარის გაზომვა უნდა განხორციელდეს Lan შეერთების წერტილზე კაბელის მიერთებით (პირდაპირი ქსელური შეერთება), შესაბამისად **შემსრულებელი** იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ისეთ შემთხვევებზე, როდესაც **ბუსთ ღილაკის** გააქტიურებით მიღებული **ინტერნეტ მომსახურების** სიჩქარე ნაკლებია 100 მბ/წმ-ზე, შესაბამისი Wi-Fi მოწყობილობის გამტარუნარიანობის გამო ან/და დაერთებული ტერმინალური მოწყობილობების რაოდენობის გამო.
- 1.14. იმ შემთხვევაში, თუ **ბუსთ ღილაკით** სარგებლობის პერიოდში **დამკვეთს** არ მიეწოდებოდა ის **მომსახურება**, რომელზეც გააქტიურებულია **ბუსთ ღილაკი** და შესაბამისი 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში შეფერხებამ უწყვეტად შეადგინა სულ მცირე 2 საათი, მაშინ **შემსრულებელი დამკვეთს**, კომპენსაციის სახით შესაბამისი შეფერხებისთვის, სთავაზობს წყვეტის თითოეული საათისთვის შესაბამისი მომსახურების ღირებულებას დამატებული მომსახურების 1 საათის ღირებულების თანხის დაბრუნებას სააბონენტო ანგარიშზე. აღნიშნული საკომპენსაციო პირობა ამოქმედდება მხოლოდ **დამკვეთის** წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ამასთან, ამგვარი მოთხოვნა **შემსრულებელს** უნდა წარედგინოს **ბუსთ ღილაკის** გააქტიურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. **შემსრულებელი** ვალდებულია, ინფორმაცია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში **მომსახურების** შეწყვეტის ან შეფერხების შესახებ, შეინახოს მინიმუმ შემდგომი საანგარიშო პერიოდამდე. ორაზროვნების თავიდან აცილების მიზნით, **შემსრულებელი** აცხადებს, რომ მას, შესაძლოა, არ ჰქონდეს ტექნიკური შესაძლებლობა აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ შეინახოს ეს ინფორმაცია.
- 1.15. ამასთან, ვინაიდან **დისტანციური არხ(ებ)ის** მეშვეობით მოქმედების წარმოება ხორციელდება უშუალოდ **დამკვეთის** მხრიდან, რა შემთხვევაშიც მისი კონსულტირება კონკრეტულ ოპერაციასთან/მოქმედებასთან დაკავშირებით შეუძლებელია **შემსრულებლის** წარმომადგებლის მიერ და ასეთ დროს **დამკვეთი დისტანციური არხ(ებ)ით** სარგებლობისას ხელმძღვანელობს **დისტანციური არხ(ებ)ში** მოცემული ტუტორიალებითა და ე.წ. FAQ დატვირთვის მქონე დამხმარე მასალებით, **დამკვეთისთვის** მეტი მოხერხებულობისა და სიმარტივის შეთავაზების მიზნით **ბუსთ ღილაკის** აქტივაციის, დეაქტივაციის, სარგებლობის პირობები შესაძლოა განსხვავდებოდეს წინამდებარე პირობებისაგან, რის თაობაზეც შესაბამისი შეტყობინება მოცემული იქნება **დისტანციური არხ(ებ)ის** შესაბამის განყოფილებაში და შესაბამისად **დისტანციური არხ(ებ)ის** მეშვეობით **ბუსთ ღილაკის** აქტივაციის, დეაქტივაციის თუ სარგებლობის შემთხვევაში **დამკვეთი** ავტომატურად ეთანხმება

აღნიშნულ განსხვავებულ პირობებს, რასთან დაკავშირებითაც არ შეიძლება მომავალში ჰქონდეს რაიმე სახის პრეტენზია თუ მოთხოვნა.